დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინდივიდუალური მერხი და სკამი, თუმცა სასურველი იქნება ამ ინვენტარის განახლება.<br>სკოლის ფიზიკური გარემოს მრავალფეროვნებას სძენს მოსწავლეთა ნამუშევრები, რომელიც სკოლის დირექციის და მოსწავლეთა განმარტებით, გარკვეული პერიოდულობით თემატურ განახლებას ექვემდებარება.<br>სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიის და ფიტო ლაბორატორიები. კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საკლასო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა).<br>ლაბორატორიების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შიდა სპორტული და ერთი გარე მოედანი აქვს. სპორტულ დარბაზს აქვს გოგონების და ვაჟების გასახდელები. სპორტული ინვენტარი განთავსებულია საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში. დამოუკიდებელ სივრცეში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. გარე მოედანს ბუნებრივი საფარი აქვს. შიდა სპორტული მოედანი განკუთვნილია მინიფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სახეობებისთვის, აქვს მაყურებლებისთვის კეთილმოწყობილი ტრიბუნა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ქიმიის ლაბორატორია განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.კედლის კარადებში ინახება შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში (ქიმიის და ფიზიკის). ლაბორატორიის ოთახს აქვს ფანჯრები, რაც განიავების საშუალებას იძლევა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს ქიმიური რეაქტივების სრულყოფილი მარაგი, რეაქტივების გამოწერა პერიოდულად ხორციელდება. მეორე სართულზე მოწყობილია ფიტოლაბორატორია,სადაც მოსწავლეები აკეთებენ შეგროვილი სამკურნალო მცენარეების ჰერბარიუმებს, შეისწავლიან მათ თვისებებს. აქვე არის ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების შესწავლისათვის საჭირო ხელსაწყოები. თუმცა,უნდა აღინიშნოს რომ ფიტოლაბორატორიის ფართი (28,7 კვ.მ.) და მასში განთავსებული მერხების რაოდენობა არ იძლევა მთელი კლასის განთავსების საშუალებას. დირექციის და მასწავლებლების განმარტებით, გამოიყენება ძირითადად საწრეო მუშაობისთვის, ხოლო გაკვეთილებზე საჭირო ხელსაწყოები მასწავლებლებს გააქვთ საკლასო ოთახებში<br>სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის. ლაბორატორიამ პანდემიის გამო გარკვეული ცვლილება განიცადა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადები);<br>კომპიუტერული ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი საბუთები;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ელექტროენერგიის და წყლის მიწოდება უწყვეტად ხორციელდება. სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები: გოგონების და ბიჭებისათვის ცალ-ცალკე.პირველ სართულზე ორი სველი წერტილია,რომელთაგანაც ერთი განკუთვნილია სსსმ პირებისთვის . მეორე სართულზე ასევე ორი სველი წერტილია. სკოლის ეზოში განთავსებულია სამ-სამი სველი წერტილი გოგონებისთვის და ბიჭებისთვის.სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ -ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკაში 8600-ზე მეტი წიგნია აღრიცხული, მათ შორისაა სკოლის მიერ შერჩეული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია ბიბლიოთეკის გამდიდრება მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი თანამედროვე ლიტერატურით.<br>სახელმძღვანელოები ორგანიზებულად არის განლაგებული თაროებზე, თემატიკის და შინაარსის მიხედვით. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთათვის გამოყოფილი სივრცე, კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობის საშუალება, წიგნების ანბანური საძიებო კატალოგი და მკითხველის ფორმულარები. სკოლის ბიბლიოთეკის ფუნქციონირება ხორციელდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება“ შესაბამისად.<br>სკოლის ბიბლიოთეკაში ვხვდებით პერიოდულ გამოცემებსაც. ბიბლიოთეკის შესასვლელთან გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სახელმძღვანელოების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>დოკუმენტი ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და დებულება“;<br>პერიოდული გამოცემების ,,ახალი განათლება“ შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. კერძოდ, სკოლის კიბეებზე განთავსებულია ასაკეცი პანდუსები.<br>სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი,თუმცა უკეთესი იქნება, ადაპტირებული სველი წერტილი იყოს იზოლირებული და მოხდეს მისი მოდერნიზება, რათა უფრო ადვილად ხელმისაწვდომი იყოს.  ამ ეტაპზე, სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არ არიცხება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია.<br>სკოლაში 18 ცალი კომპიუტერი (პროცესორი და მონიტორი), 14 ცალი ნოუთბუკი აქვს<br>სკოლის ვებ.გვერდი www.nazari.ge ინფორმატიულია და შეიცავს სკოლასთან დაკავშირებულ მშობელთათვის, მოსწავლეებისათვის, პედაგოგებისათვის და უცხო პირთათვის საჭირო ინფორმაციას სკოლის შესახებ, მათ შორის, ინფორმაციას სკოლის მარეგულირებელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტების.სკოლაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები საგაკვეთილო პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ვებ.გვერდის შექმნის ხელშეკრულება;<br>ხელშეკრულება ინტერნეტის პროვაიდერთან (სს,,სილქნეტი,,);<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ადგენს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ნუსხას.სკოლას აქვს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2020 წლის 25 თებერვლის მიწერილობა,რომელის მოთხოვნებიც ვიზიტის პერიოდში ნაწილობრივ შესრულებული იყო. კერძოდ,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები, დამუშავებულია სკოლის სხვენი. სკოლას აქვს 6 ცალი ცეცხლმაქრი, რომლებიც დამუხტულია და ყველა სართულზეა განთავსებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის დამონტაჟების თაობაზე;<br>სახანძრო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა( პროექტი);<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. გარდა ამისა, შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებულია მაჩვენებლები (EXIT), რომლებიც მიუთითებს გასასვლელებზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საევაკუაციო გეგმა;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა ექიმი ან ექთანი, თუმცა სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებლობა ბრძანებით გაწერილია სკოლის საქმისმწარმოებელზე.სკოლაში არ არის სამედიცინი ოთახი. სკოლის კანცელარიაში განთავსებულია კარადა საჭირო მედიკამენტებით. საქნისმწარმოებელთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ საჭირო შემთხვევაში მიმართავენ სასწრაფო დახმარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 5 ივნისის ბრძანებით სკოლამ შექმნა საკონკურსო კომისია და გამოაცხადა კონკურსი სკოლის ექიმის თანამდებობაზე.( დანართი 1). სკოლას მიეცა რეკომენდაცია იზრუნოს სამედიცინო ოთახისთვის ფართის შერჩევაზე სკოლის შენობის პირველ სართულზე.პანდემიიდან გამომდინარე, სკოლამ შეადგინა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია პანდემიის პირობებში COVID-19-სგან დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ეფექტური განხორციელება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;<br>სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, სკოლას არ აქვს შემუშავებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესის და პირობების გეგმა.იგი ჯერ არ არის შეთანხმებული მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან,სკოლას მიღებული აქვს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პასუხი2021 წლის 22 თებერვალს, სადაც აღნიშნულია ყველა შენიშვნა, რომელიც სკოლამ უნდა გაითვალისწინოს. (დანართი 2). სკოლას შედგენილი აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ პროექტი<br>სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოებას და წესრიგს უზრუნველყოფენ მორიგე მასწავლებლები. სკოლას შედგენილი აქვს უსაფრთხოების სამსახურის დებულებაც, სადაც გაწერილია სამსახურის საქმიანობის სფერო და ფუნქციები, მათ შორისაა, პირველადი დახმარების აღმოჩენა და სახანძრო საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (პროექტი);<br>საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია;<br>დაცვაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოკამერებით. სულ სკოლაში 14 ვიდეო კამერაა, აქედან 6 კამერით ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება ხორციელდება, , 8 კამერა შენობის შიგნით იყო დამონტაჟებული. ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა დამატებით 2 ვიდეო კამერის შეძენა და დაიწყო მათი დამონტაჟება, რათა სრულყოფილად მოხდეს კიბის უჯრედების გაკონტროლება.სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება და დოკუმენტები (დანართი 3)<br>სკოლის ვიდეო თვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი წარმოდგენილია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დოკუმენტში. სკოლის ვიდეო თვალთვალის გაკონტროლება ონლაინ-რეჟიმში შეუძლია სკოლის დირექტორს და ფინანსურ დირექტორს მობილურ ტელეფონებზე დაენებული აპლიკაციით |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>შრომითი ხელშეკრულებები უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება და შინაგანაწესი.<br>სკოლის წესდება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას, სის მართვის წესებსა და პრინციპებს.<br>გარდა ამისა, წესდებით წარმოდგენილია ინფორმაცია სკოლის სტრუქტურისა და მართვის პრინციპების, მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების შესახებ. დეტალურად გაწერილია მათი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფუნქცია-მოვალეობებიც. სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. შინაგანაწესით რეგულირდება შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, წახალისების ფორმები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები, დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის წესები და ა.შ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | წესდება;<br><br>შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც სკოლის მისიიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად.<br>სკოლის ერთწლიანი გეგმა მოიცავს 2021-2022 წელს. დოკუმენტში წარმოდგენილია გეგმის შემუშავების ეტაპები. ერთწლიანი გეგმა 6 (ექვსი) მსხვილი ბლოკისგან შედგება, კერძოდ: სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ადამიანური რესურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ეფექტური მენეჯმენტი. თითოეული ბლოკი შედგება პრიორიტეტული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საკითხებისგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებულია შესრულების ვადა და პასუხისმგებელი პირები.<br>სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი (6 წლიანი გეგმა) განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვთა უფლებათა კონვენციას, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის წესდებას და შინაგანაწესს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და სხვა ნორმატიულ აქტებს.სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა მოითხოვს დაკონკრეტებას წლების მიხედვით<br>SWOT ანალიზი ადგენს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და გამოწვევებს და სწორედ გამომდინარე ანალიზიდან, წარმოდგენილია სკოლის სტრატეგიული მიზნები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>SWOT ანალიზი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქმისწარმოების ერთიანი წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს.<br>დოკუმენტბრუნვა მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია, გასული დოკუმენტაცია .<br>სკოლაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები: შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალ, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, თანამშრომლებთან დადებული შრომითი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საქმისწარმოების წესი;<br>სარეგისტრაციო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | -. სკოლას მიეცა რეკომენდაცია იზრუნოს სამედიცინო ოთახისთვის ფართის შერჩევაზე სკოლის შენობის პირველ სართულზე.<br>-სკოლას მიეცა რეკომენდაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ფუნქცია-მოვალეობები ჩამოაშორონ საქმისმწარმოებელს, რადგან მას არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია<br>- სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პირობები მოიყვანოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში |
| რჩევები: | ბიბლიოთეკის გამდიდრება მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი თანამედროვე ლიტერატურით. |
| ხარვეზები: | სკოლას არ ჰყავს სამედიცინო პერსონალი, არ არის სამედიცინო ოთახი და პირველადი სამედიცინო დახმარების პირობები |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესი და საშტატო განრიგი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და თანამდებობებს. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექცია ( ზოგან მოიხსენიება, როგორც ადმინისტრაცია), დირექციის შემადგენლობაში შედის რექტორი, პრორექტორი, სკოლის მოძღვარი, დირექტორი, ფინანსური დირექტორი, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას უწევს კორდინაციას კორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე.<br>შინაგანაწესის მიხედვით სკოლას ჰყავს სხვა პერსონალიც (საქმისმწარმოებელი, მნე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დამლაგებლები) რომელთა უფლება- მოვალეობებიც გაწერილია აღნიშნულ დოკუმენტში.<br>სკოლაში დასაქმებულია 28 მასწავლებელი, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლოტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის შინაგანაწესი<br>• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლოტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის საშტატო განრიგი;<br>• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლოტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის წესდება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 28 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1/1 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 5 |
| უფროსი მასწავლებლი | 14 |
| წამყვანი მასწავლებლი | 2 |
| მენტორის სტატუსი | - |
| პირობა დადებული მასწავლებლები | 4 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის შინაგანაწესი<br>• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლოტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის საშტატო განრიგი;<br>• ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლოტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართმადიდებლური სკოლის წესდება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შინაგანაწესი შექმნილია შრომის კოდექსის შესაბამისად და იგი განსაზღრავს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა, განთავისუფლების წესებს, წახალისებისა და დასჯის წესს..<br>სკოლაში თანამშრომლის აყვანა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის თაობაზე ინფორმაცია არის საჯარო და იგი ქვეყნდება Teachers.gov.ge -ზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ან ვრცელდება სხვა საჯარო ფორმით. კონკურსი მოიცავს განცხადებების მიღების, შეფასება/გადარჩევისა და გასაუბრების ეტაპებს.<br>სკოლაში სამუშაოდ მიღებულ ყველა თანამშრომელთან სკოლის დირექტორი აფორმებს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების გაფორმებამდე იგი ვალდებულია დასაქმების კანდიდატს დეტალურად გააცნოს ხელშეკრულების პირობები.<br>სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დასაქმებულს უფლება აქვს<br>კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლის დირექტორს,<br>ისარგებლოს სწავლებისა და კვლევების აკადემიური თავისუფლებით იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას და სხვა.<br>სკოლაში თანამშრომლის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების სანიმუშო შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისათვის სკოლას შეუძლია გამოიყენოს წახალისების შემდეგი სახეები:<br>• მადლობის გამოცხადება.<br>• საპატიო სიგელით დაჯილდოება;<br>• ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.<br>• დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.<br>წახალისება ცხადდება ბრძანებით, ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს და შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში.<br>ასევე დაკონკრეტებულია სახდელები თანამშრომლის მიერ დისციპლინის დარღვევისათვის:<br>• სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილება ან შენიშვნა;<br>• საყვედური;<br>• სასტიკი საყვედური;<br>• მატერიალური ზარალის ანაზღაურება;<br>• სამსახურიდან გათავისუფლება.<br>დისციპლინური გადაცდომის შედეგებიდან გამომდინარე, თანამშრომელს შეიძლება შეეფარდოს დისციპლინური ზემოქმედების ერთ-ერთი სახე, მოცემული რიგითობის გაუთვალისწინებლად, რაც მოქმედებს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დისციპლინური ზემოქმედების გამოყენება შეუძლია სკოლის დირექტორს ადმინისტრაციის წევრის, საგნის მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის, სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ წარდგინებისა და დარღვევაში შემჩნეული პირის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე, საკითხის შესწავლის შედეგად.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის შინაგანაწესი;<br>ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან;<br>კონკურსის ჩატარების წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებელთა დიდ ნაწილთან გაფორმებულია ერთ წლიანი ხელშეკრულებები, 2021 წლის 01 სექტემბრიდან, 2022 წლის 01 სექტემბრამდე, 4 მასწავლებელთან დადებულია ხელშეკრულება 2022 წლის იანვრიდან 2024 წლის 01 ივლისამდე , იმ პირობით , რომ მასწავლებლები 2 წლის განმავლობაში ჩააბარებენ საგნის გამოცდას. უსტატუსო სპორტისა და მუსიკის მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წელია. ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, რომ ზოგადად, სპორტის და მუსიკის მასწავლებელთა მცირე ნაწილია სერთიფიცირებული და სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე დირექცია არ უწყვეტს ხელშეკრულებას აღნიშნულ პირებს სასწავლო წლის დასასრულამდე.<br>მაძიებელ, უფროს და წამყვან მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს კონკრეტულ სტატუსის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს.<br>სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებები დადებულია კანონის შესაბამისად.<br>სკოლის დირექციამ გამოაცხადა კონკურსი სკოლის ექიმის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად ვებგვერდზე " pedagogi.gov.ge.<br>სხვა შემთხვევაში ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას; ხელშეკრულებები დანომრილია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | **სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი.<br>საქმისწარმოების წესი;** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს და სკოლის განვითარების მხარდაჭერის ჯგუფს. ხარისხი მენეჯერის ფუნქციები გაწერილია შესაბამის სამსახურეობრივ ინსტრუქციებში, ხოლო განვითარების ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. ჯგუფის მუშაობის პრინციპებია: გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. პროფესიული საჭიროების გამოსავლენად და შესაბამისი დახმარების აღმოსაჩენად. წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია მასწავლებლების როგორც ძლიერი მხარეები ასევე პროფესიული საჭიროებები და განვითარების სასურველი მიმართულებები. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებასაც საგაკვეთილო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება, განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, მასწავლებლებისათვის კონსულტაციის გაწევა, მასწავლებელთა ინფორმირება საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და ტრენინგების შესახებ, საჭირო ტრენინგების მოძიება, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, ღია ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა, შეფასება და განმავითარებელი შეფასების მიცემა, კათედრებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.<br>რაც შეეხებათ თვითონ მასწავლებლებს, მასწავლებლების კმაყოფილების კვლევის კითხვარის მიხედვით, თვლიან რომ სკოლა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე, ნაწილი თვლის რომ მეტნაკლებად ზრუნავს სკოლა მათ პროფესიულ განვითარებაზე, ამრიგად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ანგარიშები, ჩატარებული კვლევის ანალიზი და სკოლის მასწავლებლებთან და პერსონალთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე და ზრუნვის საგანს განსაზღვრავს მათი პროფესიული საჭიროებიდან გამომდინარე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | **სკოლის სამსახურეობრივი ინსტრუქციები;**<br>**ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან,** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ნამდვილად სუფევს კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, მასწავლებლები კათედრის სხდომებზე იხილავენ სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან საკითხებს, გეგმავენ სასწავლო პროცესს.<br>სკოლაში შემუშავებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადამიანური რესურსის მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელი იქნება დასაქმებულ პირებზე პასუხისმგებლობების გადანაწილება. უფლება მოვალეობების ნაწილის მიხედვით მათი შესაძლებლობების გამოვლინება. გასაუბრებისას მოსწავლეები და მასწავლებლები ხშირად აკეთებენ აქცენტს ერთმანეთის მიმართ დადებით განწყობასა და ურთიერთდახმარების სურვილზე, სხვადასხვა საკლასო და სასკოლო აქტივობების ერთად დაგეგმვასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | **კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომის ოქმები;**<br>**მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ.** |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლას მიეცა რეკომენდაცია მასწავლებლებთან ხელშეკრულებების დადების დროს გაითვალისწინოს „ მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებას მე-3 და მე -4 მუხლები. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი 1.ბრძანება 01-03. 05.06.2022 წელი.**

ექიმის და სკოლის ფსიქოლოგის ვაკანტური პოზიციის შევსების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ.(2 გვერდი)

დანართი 2 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 22.02 2021 წლის წერილი MES 9 21 0000142095 „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ(5 გვერდი)

დანართი 3.ვიდეოსამეთვალყურეო კამერების შეძენის და მონტაჟის ხელშეკრულება (5 გვერდი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ქ.თბილისი 22.06.2022 წელი

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა 43



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.